

შპს “თიბისი კაპიტალი”

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2015 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილების შესახებ.....	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. წინა წლის კორექტირებები და რეკლასიფიკაციები	9
3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	18
5. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	18
6. თანხები სხვა საბანკო ანგარიშებზე.....	18
7. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიცია	18
8. სხვა აქტივები	19
9. არამატერიალური აქტივები.....	19
10. საწესდებო კაპიტალი	20
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
12. საბროკერო შემოსავლები და ხარჯები	20
13. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	20
14. პერსონალის ხარჯები	21
15. საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება.....	21
16. სხვა ხარჯები	21
17. დაბეგვრა	21
18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	22
19. კაპიტალის მართვა.....	25
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	25
21. ბალანსის შემდგომი მოვლენები	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “თიბისი კაპიტალის” მენეჯმენტსა და მეწილეებს

ჩვენ ჩავატარეთ შპს “თიბისი კაპიტალის” (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის. ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც კომპანიის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის, ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით შეცდომებს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს კომპანიის შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან. ამის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მთლიანად შეფასებას.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს პირობითი დასკვნის გასაცემად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აღიარებული ჰქონდა საგადასახადო აქტივი 232,598 ლარის მოცულობით. აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულება, რომ დაფრმუნებულიყავით აღნიშნული აქტივის აღიარების სისწორეში. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა იყო თუ არა საჭირო კორექტირებები 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებულ საგადასახადო აქტივზე და 2015 წელს აღიარებულ სხვა ხარჯებზე 232,598 ლარის ოდენობით.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება გარდა პირობითი მოსაზრების აზრად მოცემული საკითხისა უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „თიბისი კაპიტალის“ ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მნიშვნელოვანი გარემოება

ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ შესადარისი ინფორმაცია გარდა მეორე შენიშვნაში მოცემული კორექტირებებისა ეყრდნობა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებულს 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, რომლის აუდიტი ჩაატარეს სხვა აუდიტორებმა და გაცემული იყო უპირობო დასკვნა. 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ასევე შევამოწმეთ მეორე შენიშვნაში მოცემული ცვლილებები და ჩვენი აზრით ამ ცვლილებების ასახვა შესადარის ინფორმაციაში მართებულია, აღნიშნულ ცვლილებებს არ ქონია გავლენა 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებულ ნაშთებზე და შესაბამისად კომპანიას 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში შესადარისად არ აქვს წარმოდგენილი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთები. აღნიშნული ცვლილებების გარდა, ჩვენ არ ვიყავით ჩართულები 2014 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში და შესაბამისად არ გამოვთქვავთ მოსაზრებას 2014 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში.

28 მარტი 2016

თბილისი, საქართველო

შპს „თიბისი კაპიტალი“

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2015	31 დეკემბერი 2014 (გადაანგარიშებული მეორე შენიშვნა)
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	679,414	278,003
თანხები სხვა საბანკო ანგარიშებზე	6	166,358	185,350
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	7	236,068	67,624
სხვა აქტივები	8	9,925	64,248
არამატერიალური აქტივები	9	11,850	3,423
საგადასახადო აქტივი		808	232,618
გადავადებული საგადასახადო აქტივი		-	1,932
სულ აქტივები		1,104,423	833,198
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	1,691,295	1,691,295
აკუმულირებული ზარალი		(828,558)	(1,090,821)
სულ კაპიტალი		862,737	600,474
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული მოგების გადასახადი	17	181	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი მიმდინარე მოგების გადასახადი		71,626	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	169,879	232,724
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		241,505	232,724
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,104,423	833,198

ფინანსური ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის მხრიდან 2016 წლის 18 მარტს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ

დირექტორი _____ გიორგი შენგელია

ბუღალტერი _____ ნ. ედიშერაშვილი

9-26 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თიბისი კაპიტალი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2015	2014 (გადაანგარიშებული მეორე შენიშვნა)
შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან	12	606,379	414,902
საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები	12	(87,964)	(261,407)
ნეტო საბროკერო შემოსავლები		518,415	153,495
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	13	(8,595)	(7,530)
პერსონალის ხარჯები	14	(21,536)	(27,000)
სულ საოპერაციო ხარჯები		488,284	118,965
არასაოპერაციო მოგება		-	2,149
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება	15	53,840	12,554
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან		30,192	16,551
სხვა ხარჯებში	16	(238,246)	-
სულ არასაოპერაციო მოგება		334,070	150,219
მოგების გადასახადის ხარჯი	17	(71,808)	-
სულ სხვა სრული შემოსავლები		262,262	150,219

9-26 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თიბისი კაპიტალი“

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილების შესახებ

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,691,295	(1,241,040)	450,255
პერიოდის სრული შემოსავალი	-	150,219	150,219
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,691,295	(1,090,821)	600,474
პერიოდის სრული შემოსავალი	-	262,262	262,262
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,691,295	(828,559)	862,736

9-26 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2015	2014 (გადაანგარიშებული მეორე შენიშვნა)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		334,070	150,219
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	13	1,245	943
საპროცენტო შემოსავალი		(30,192)	(16,551)
საგადასახადო აქტივის ჩამოწერა		234,530	-
კურსთაშორისი სხვაობიდან წარმოშობილი მოგება	14	(53,840)	(12,554)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე		485,813	122,057
ზრდა/კლება:			
შემცირება/(ზრდა) წინასწარ გადახდილ გადასახადებში		(788)	39,547
შემცირება სხვა აქტივებში		54,752	345
ზრდა/(შემცირება) სხვა ვალდებულებებში		(134,720)	107,139
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგების გადასახადსა და პროცენტებამდე		405,057	269,088
მიღებული პროცენტები		10,837	16,551
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობაზე		415,894	285,639
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
არამატერიალური აქტივების შეძენა		(9,672)	-
ბანკში დეპოზიტის განთავსება		(362,903)	(296,687)
ბანკიდან დეპოზიტის გამოტანა		222,116	100,000
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობაზე		(150,459)	(196,687)
ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა		265,435	88,952
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	5	463,353	327,816
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულისა და ფულის ექვივალენტებზე		116,984	46,585
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოსთვის	5	845,772	463,353

9-26 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „თიბისი კაპიტალი“ დაფუძნდა 1999 წელს. კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,691,295 ლარს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N 11.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა. კომპანია წარმოადგენს სს „თიბისი ბანკის“ შვილობილს.

2. წინა წლის კორექტირებები და რეკლასიფიკაციები

წინა წლის კორექტირებები

კომპანიამ განახორციელა შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება უზუსტობის კორექტირებისთვის რომელთაც გავლენა არ ჰქონიათ 2014 წლის საწყის ნაშთებზე:

	კორექტირებამდე	კორექტირება	კორექტირების შემდგომ	კომენტარი
საგადასახადო აქტივი	210,588	22,011	232,599	კომპანიას არ ეკუთვნოდა მოგების გადასახადის დარიცხვა, რადგანაც გამოიყენა წინა წლების გამოუყენებელი საგადასახადო ზარალები
მოგების გადასახადის ხარჯი	(22,011)	22,011	-	იხილეთ კომენტარი ზემოთ

წინა წლის რეკლასიფიკაციები

2015 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისათვის, 2014 წელს გაკეთდა ქვემოთ მოცემული რეკლასიფიკაციები:

წინა პერიოდის მიხედვით	ახალი კლასიფიკაცია	თანხა	კომენტარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სხვა აქტივები	834	საბროკერო მომსახურების მისაღები საკომისიო რეკლასიფიცირდა სხვა აქტივებში.
სხვა აქტივები	გადავადებული საგადასახადო აქტივი	1,932	გადავადებული საგადასახადო აქტივი რეკლასიფიცირდა გადავადებული საგადასახადო აქტივის მუხლში.
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საბანკო დეპოზიტები	624	სამ თვეზე მეტი დაფარვის ვადის მქონე დეპოზიტიზე დარიცხული პროცენტი რეკლასიფიცირდა საბანკო დეპოზიტების მუხლში.
ფული და ფულის ექვივალენტები	თანხები სხვა საბანკო ანგარიშებზე	49,522	საბროკერო ანგარიშებზე განთავსებული კომპანიის თანხები რეკლასიფიცირდა ფულისა და ფულის ექვივალენტების მუხლში.
ფული და ფულის ექვივალენტები	საბანკო დეპოზიტები	67,000	სამ თვეზე მეტი დაფარვის ვადის მქონე დეპოზიტი რეკლასიფიცირდა საბანკო დეპოზიტებში.
საგადასახადო ვალდებულებები	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(800)	საშემოსავლო გადასახადი გაერთიანდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. წინა წლის რეკლასიფიკაციები (გაგრძელება)

წინა პერიოდის მიხედვით	ახალი კლასიფიკაცია	თანხა	კომენტარი
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები	(261,407)	საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები ცალკე წარდგა.
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	პერსონალის ხარჯები	(27,000)	პერსონალის ხარჯები გამოეყო ადმინისტრაციულ ხარჯებს და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგა ცალკე მუხლად.
ამორტიზაცია	ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	943	ამორტიზაციის ხარჯი გაერთიანდა ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.
არასაოპერაციო მოგება	საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება	204,614	არასაოპერაციო მოგება, რომელიც ეხებოდა საკურსო სხვაობას, რეკლასიფიცირდა საკურსო სხვაობიდან მიღებულ მოგებაში.
არასაოპერაციო ზარალი	საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება	(193,391)	არასაოპერაციო ზარალი, რომელიც ეხებოდა საკურსო სხვაობას, რეკლასიფიცირდა საკურსო სხვაობიდან მიღებულ მოგებაში.
არასაოპერაციო მოგება	საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან	16,551	საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან გამოეყო არასაოპერაციო მოგებას და წარდგა ცალკე მუხლად.

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად, რომელიც მიღებულია ევროკავშირის მიერ.

ფასს-ების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. მსჯელობის საფუძველზე მენეჯმენტმა უნდა გამოიყენოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისა. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მენეჯმენტსა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

ახალი ფასს-ის მიღება

ა) 2015 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2015 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გთავაზობს ერთ, პრინციპზე დაფუძნებულ, ხუთეტიპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუქციების კლასიფიკაციას და გაზომვას.

ფასს 9 იწარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომლებიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას კომპანიის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 კომპანიას სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები კომპანიის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. კომპანია აფასებს მომავალში ფასს 9-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ორგანიაციას ჯერ არ შეუფასებია აღნიშნული ცვლილების ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ფულის და ფულის ეკვივალენტების და სხვა მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კურსთაშორის სხვაობიდან წამოშობილი მოგება/ზარალი“

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი
	აშშ დოლარი
კურსი 2015 წლის 31 დეკემბრისათვის	2.3949
კურსი 2014 წლის 31 დეკემბრისათვის	1.8636

ფინანსური ინსტრუმენტები

ქვემოთ მოცემული ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობებით:

რეალური ღირებულება განისაზღვრება, როგორც ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი ოპერაციის დროს ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის. რეალური ღირებულების საუკეთესო მაგალითია აქტიურ ბაზარზე არსებული ფასი. აქტიურ ბაზარში იგულისხმება, ისეთი გარემო, სადაც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება და ფასის შესახებ მუდმივად არსებობს ინფორმაცია. აქტიურ ბაზარზე არსებული რეალური ღირებულება ისეთი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომელთა ყიდვა-გაყიდვაც

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შესაძლებელია აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება კოტირებული ფასისა და კომპანიის მიერ ფლობილი ინსტრუმენტების რაოდენობის ნამრავლით, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბაზარზე ყოველდღიური საშუალო ვაჭრობის მოცულობა არაა საკმარისი და ერთ ოპერაციას შეუძლია მოახდინოს ფასზე გავლენა.

თვითღირებულება არის გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტი, ან უშუალოდ შეძენის მომენტისთვის აქტივის შესაძენად გაწეული სხვა დანახარჯის რეალური ღირებულება, რაც მოიცავს ოპერაციის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული ძირის გადახდები, დამატებული დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის აღნიშნულ ოდენობას აკლდება ასევე გაუფასურების ზარალი. დარიცხული პროცენტი მოიცავს ტრანსაქციის ღირებულების ამორტიზაციას, რომელიც გადავადებული იქნა თავდაპირველი აღიარებისას და სხვა ნებისმიერ ზედმეტ ან ნაკლებ გადასახადს ვადის შესაბამისად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის ცალე წარმოდგენილი და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის ღირებულებაში.

ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს დამატებით ხარჯებს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გაცემას ან გასხვისებას. დამატებითი ხარჯია ისეთი ხარჯი, რომელიც არ იქნებოდა გაწეული თუ ტრანსაქცია არ განხორციელდებოდა.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება ან როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით, ხოლო ხელახალი შეფასებისას წარმოშობილი შემოსავალი ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან გასაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადებით კლასიფიცირებულია როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები როდესაც კომპანიას გააჩნია მისი დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და შესაძლებლობები.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომელსაც არ მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიები, კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად არსებული და მოიცავს კომპანიის სტრატეგიულ ინვესტიციებს არაშეიღობილ საწარმოებში, ასოციაციებში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში ასევე კორპორაციულ ობლიგაციებში. ისინი შეფასებულია რეალური ღირებულებით, ხოლო ცვლილებები რეალურ ღირებულებაში ჩვეულებრივ აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება გასაყიდად არსებულ რეზერვში. თუ არსებობს გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება (რაც გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას წარმოადგენს), გაუფასურების მთლიანი ღირებულება, სხვა სრული შემოსავალში უკვე აღიარებული ნებისმიერი ოდენობის ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალში. თუ შეუძლებელია ასეთი ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა, კომპანია მას აღრიცხავს დაგროვილი გაუფასურებით შემცირებული თვითღირებულებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანსაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყის აღიარებას წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს სპეციალურ განმარტებით შენიშვნებს, რომლის მიხედვითაც რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია უნდა მოხდეს რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით, რომელიც წარმოაჩენს რეალური ღირებულების შეფასებისას გამოყენებულ განსხვავებულ მეთოდებს. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. აქტიური ბაზრის კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისათვის (დონე 1);
2. პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა აქტივებისა და ვალდებულებების პირდაპირ (ფასების მიხედვით) ან ირიბად (ფასებიდან გამომდინარე) შეფასება სხვა დაკვირვებად ბაზრებზე არსებული ფასების მიხედვით (დონე 2);
3. ისეთი აქტივების ან ვალდებულებების შეფასება, რომელიც არ არის წარმოდგენილი დაკვირვებად ბაზარზე (კალკულაცია დაკვირვების გარეშე) (დონე 3).

რეალური ღირებულების იერარქიის დონე, რომელშიც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება არის კატეგორიზირებული, განსაზღვრულია ყველაზე დაბალი დონის მიხედვით რომელიც მნიშვნელოვანია რეალური ღირებულების შეფასებისათვის. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მთლიანობაში კლასიფიცირებულია ამ სამი დონიდან მხოლოდ ერთში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურებით მიღებული ზარალი ტარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მათი წარმოქმნისას ერთი ან მეტი გარემოების („ზარალის შემთხვევა“) დადგომის შემთხვევაში, რაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხდება და რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან მათი ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფინანსური ნაკადების დროსა და ვადიანობაზე, რისი საიმედო განსაზღვრაც შესაძლებელია. იმისთვის, რომ დაადგინოს არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, კომპანია ძირითადად ისეთ ფაქტორებს განიხილავს, როგორცაა მისი ვადაგადაცილების სტატუსი.

ქვემოთ წარმოდგენილია სხვა ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც ასევე გამოიყენება იმის დასადასტურებლად რომ არსებობს გაუფასურების ზარალის მიღების ობიექტური მტკიცებულება:

- ნებისმიერი შენატანზე ვადაგადაცილება და დაგვიანება არ უკავშირდება საანგარიშსწორებო სისტემების შეფერხებულ მუშაობას;
- მსესხებელი / დებიტორი მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების წინაშე იმყოფება, რაც დასტურდება კომპანიას მიერ მოპოვებული მსესხებლის ფინანსური ინფორმაციით;
- მსესხებელი / დებიტორი განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას;
- მნიშვნელოვანი ცვლილება არსებობს მსესხებლის / დებიტორის მიერ თანხის დაფარვის სტატუსში, რაც ქვეყნის ეროვნული ან რეგიონული ეკონომიკური პირობების ცვლილებით არის გამოწვეული და ამას გავლენა აქვს მსესხებელზე / დებიტორზე;

გაუფასურების ზარალის გამოთვლა ეფუძნება რისკიანი აქტივების ანალიზს და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას იმ ოდენობისას, რაც საკმარისია ზარალის დასაფარად. ანარიცხები იქმნება იდივიდუალური შეფასებით იმ რისკიანი ფინანსური აქტივებისა ან აქტივთა ჯგუფისთვის, რომელიც არსებითია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივი ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ეს მახასიათებლები მნიშვნელოვანია ჯგუფების სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დასათვლელად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნადე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს.

არამატერიალური აქტივები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით.

არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. არამატერიალური აქტივების ჯგუფს განსაზღვრული აქვს შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
არამატერიალური აქტივები	10-12.5

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განიხილავს არამატერიალურ აქტივებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით.

აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება მოგებისა და ზარალის ანგარიშებში.

დაბეგრა

გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გავადებული გადასახადისგან. გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადასახადი ასევე აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, ან პირდაპირ კაპიტალში შესაბამისად.

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის სხვაობიდან. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ვალდებულებების საბუღალტრო ბალანსის მიხედვით, გაანგარიშების მეთოდით. გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების თანხა იანგარიშება გადასახადის მოსალოდნელი განაკვეთიდან, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული იმ წლებში, როდესაც დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება ანაზღაურებული ან რეალიზებული იყოს. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგების მომავალი თანხები საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივების სარეალიზაციოდ. ბუღალტრული ბალანსის შედგენის თითოეული თარიღისათვის კომპანია გადააფასებს აუღიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებს.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება იმიტომ, რომ ეს არის მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებული იყოს დროებითი სხვაობა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არის გადახურული როდესაც არის კანონიერი უფლება რომ გადაიხუროს მიმდინარე საგადასახადო აქტივი სადაგადასახადო ვალდებულების მიმართ.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შესაბამისობაშია გაცემული, ან მიღებული სერვისის მოცულობასთან.

ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული, ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- (ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან, ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- (ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **მოგების გადასახადი.** ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებით გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. შესაბამისად, კომპანია თვლის, რომ შეიძლება არსებობდეს გარკვეული პრობლემული არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე. იმდენად, რამდენადაც ამ საკითხების საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება არსებული საბუღალტრო ჩანაწერებისგან, ასეთი სხვაობები გავლენას იქონიებს მოგების გადასახადის ხარჯზე იმ პერიოდში, როცა ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	31 დეკემბერი 2015	31 დეკემბერი 2014
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში ლარში	333,039	100,792
მოკლევადიანი დეპოზიტები	153,492	-
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	109,781	154,707
ფულადი სახსრები არარეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	83,102	22,504
სულ	679,414	278,003

დამატებითი ინფორმაცია ფულისა და ფულის ეკვივალენტებზე შეგიძლიათ იხილოთ მე-18 შენიშვნაში.

6. თანხები სხვა საბანკო ანგარიშებზე

თანხები სხვა საბანკო ანგარიშებზე წარმოადგენს კომპანიის მიერ განთავსებულ თანხებს რეზიდენტ და არარეზიდენტ ბანკებში საბროკერო საქმიანობისთვის. ინფორმაცია ვალუტების მიხედვით არსებულ ნაშთებზე მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

7. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიცია

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები განთავსებულია რეზიდენტ კომერციულ ბანკში. საპროცენტო განაკვეთი ლარში არსებულ ვადიან დეპოზიტზე არის 10%, ხოლო დოლარში არსებული ვადიანი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი კი არის 5.5%. 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრისათვის დეპოზიტის ძირი შეადგენდა 225,668 და 67,000 ლარს, ხოლო საპროცენტო მოთხოვნა კი 10,400 და 624 ლარს.

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

7. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიცია (გაგრძელება)

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2015	31 დეკემბერი 2014
ვადიანი დეპოზიტები ლარში	74,587	67,624
ვადიანი დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	161,481	-
სულ	236,068	67,624

8. სხვა აქტივები

სხვა აქტივები 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2015	31 დეკემბერი 2014
ინვესტიციები საწარმოთა აქციებში	7,998	63,414
მოთხოვნები საბროკერო მომსახურების საკომისიოდან	1,351	834
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	576	-
სულ	9,925	64,248

ანგარიშგების თარიღისათვის შპს "თიბისი კაპიტალი" ფლობს გასაყიდად გამიზნულ ინვესტიციას სს "საქართველოს საფონდო ბირჟის" აქციებში ღირებულებით 7,998 ლარი. აღნიშნული ინვესტიცია სს "საქართველოს საფონდო ბირჟის" სააქციო კაპიტალის 4%-ს წარმოადგენს.

9. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	საიტი	კომპიუტერული პროგრამები	სულ
2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	8,820	8,820
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	8,820	8,820
შემოსვლა	9,672	-	9,672
გასვლა	-	-	-
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,672	8,820	18,492
დაგროვილი ამორტიზაცია			
2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(4,454)	(4,454)
მიმდინარე წლის ამორტიზაცია	-	(943)	(943)
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(5,397)	(5,397)
მიმდინარე წლის ამორტიზაცია	(302)	(943)	(1,245)
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(302)	(6,340)	(6,642)
საბალანსო ღირებულება			
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	3,423	3,423
2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,370	2,480	11,850

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

10. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

მეწილე	%	31 დეკემბერი 2015	%	31 დეკემბერი 2014
სს "თიბისი" ბანკი	100%	1,691,295	100%	1,691,295
სულ	100%	1,691,295	100%	1,691,295

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2015	31 დეკემბერი 2014
კლიენტების მიერ გადმორიცხული თანხები	150,050	217,283
სხვა ვალდებულებები კლიენტების მიმართ	11,429	11,441
გადავადებული შემოსავალი	8,400	-
გადასახდელი ხელფასები	-	3,200
საშემოსავლო გადასახადი	-	800
სულ	169,879	232,724

12. საბროკერო შემოსავლები და ხარჯები

საბროკერო შემოსავლები და ხარჯები 2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2015	2014
შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან	606,379	414,902
საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები	(40,864)	(229,809)
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები	(35,973)	(20,018)
საკომისიო ხარჯები	(11,127)	(11,580)
ნეტო საბროკერო შემოსავლები	518,415	153,495

13. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2015	2014
საიჯარო ხარჯი	(2,752)	(2,128)
საბანკო ხარჯი	(2,371)	(1,570)
ამორტიზაცია	(1,245)	(943)
მივლინების ხარჯი	(1,511)	-
სხვა ხარჯები	(716)	(2,889)
სულ	(8,595)	(7,530)

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

14. პერსონალის ხარჯები

პერსონალის ხარჯები 2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2015	2014
ხელფასები	(16,036)	(14,500)
ბონუსები	(5,500)	(12,500)
სულ	(21,536)	(27,000)

15. საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება

საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება 2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2015	2014
რეალიზებული საკურსო სხვაობა	116,984	46,585
არარეალიზებული საკურსო სხვაობა	(63,144)	(34,031)
სულ	53,840	12,554

16. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯი მოიცავს მოგების გადასახადში წინა წლების გამოუყენებელი ზარალების ჩამოწერას ღირებულებით 232,598 ლარი, რომელიც 2014 წელს სხვა აქტივებში იყო წარდგენილი.

17. დაბეგვრა

გადავადებული საგადასახადო ვალდებულება 2015 და 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2015	31 დეკემბერი 2014
1 იანვრისთვის	-	-
მოგებასა და ზარალში აღიარება		
საგადასახადო ზარალი	(181)	-
სხვა სრულ შემოსავალში აღიარება	-	-
31 დეკემბრისთვის	(181)	-

დროებითი სხვაობები 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	აქტივები 2015	ვალდებულებები 2015	ნეტო თანხა 2015	ცვლილება მოგებაში ან ზარალში 2015	ცვლილება კაპიტალში 2015
არამატერიალური აქტივები	-	181	(181)	(181)	-
საგადასახადო აქტივი/ვალდებულება	-	181	(181)	(181)	-
უირთიერთგადაფარვა	-	-	-	-	-
წმინდა აქტივი/ვალდებულება	-	181	(181)	(181)	-

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

17. დაბეგვრა (გაგრძელება)

მოგების გადასახადის ხარჯი 2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2015	2014
მოგების გადასახადი	(86,297)	(22,011)
წინა წლების საგადასახადო ზარალების გამოყენება	14,671	22,011
დროებითი სხვაობების ეფექტი	(182)	-
სულ	(71,808)	-

რეკონსილაცია ფაქტიურ და მოსალოდნელ მოგების გადასახადს შორის:

	2015	2014
მოგება დაბეგვრამდე	334,070	150,219
მოგების გადასახადის პროცენტი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადი	(50,111)	(22,533)
წინა წლების საგადასახადო ზარალების გამოყენება	14,671	22,011
ხარჯები, რომლებიც არ გამოიქვეითება/შემოსავლები, რომლებიც განთავისუფლებულია გადასახადისგან	(36,368)	522
სულ	(71,808)	-

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი;

ბიზნესის სხვა სექტორების მსგავსად, კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც კომპანიას წარმოემოხება რისკები, არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2015	31 დეკემბერი 2014
ფული ბანკში	679,414	278,003
საბანკო დეპოზიტები	236,068	67,624
ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე	166,358	185,350
სხვა ფინანსური აქტივები	9,349	64,248
ფინანსური ვალდებულებები	161,479	232,724

ძირითადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ბიზნეს რისკების მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, საბჭოს მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სამეთვალყურეო საბჭოს საერთო მიზანია ამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე. აღნიშნული პოლიტიკა ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში.

იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია ის აუცილებელი პროცედურები, რომლებიც უნდა ჩატარდეს საკრედიტო რისკის გასაწესებად.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყეებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი	2015
ფინანსური აქტივები			
სხვა ფინანსური აქტივები	7,998	1,351	9,349
თანხები სხვა საბანკო ანგარიშებზე	21,924	144,434	166,358
საბანკო დეპოზიტები	74,587	161,481	236,068
ფული და ფულის ეკვივალენტები	442,820	236,594	679,414
სულ ფინანსური აქტივები	547,329	543,860	1,091,189
ფინანსური ვალდებულებები			
სხვა ფინანსური ვალდებულებები	18,624	142,854	161,479
სულ ფინანსური ვალდებულებები	18,624	142,854	161,479
ღია სავალუტო პოზიცია	565,953	686,714	

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი	2014
ფინანსური აქტივები			
სხვა ფინანსური აქტივები	7,998	56,250	64,248
თანხები სხვა საბანკო ანგარიშებზე	35,624	149,726	185,350
საბანკო დეპოზიტები	67,624	-	67,624
ფული და ფულის ეკვივალენტები	100,792	177,212	278,003
სულ ფინანსური აქტივები	212,038	383,188	595,225
ფინანსური ვალდებულებები			
სხვა ფინანსური ვალდებულებები	25,334	207,389	232,724
სულ ფინანსური ვალდებულებები	25,334	207,389	232,724
სავალუტო პოზიცია	237,372	590,577	

სავალუტო რისკის მგრძობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძობელობას აშშ დოლარის ლართან მიმართებაში 30%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 30% არის მგრძობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოსახულ ფულად აქტივებს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას პერიოდის ბოლოს 30%-ის სხვაობით უცხოურ ვალუტაში.

2015 და 2014 წლის 31 დეკემბერს ნეტო მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

	2015		2014	
	დოლარის კურსის ცვლილების გავლენა		დოლარის კურსის ცვლილების გავლენა	
	ლარი/დოლარი + 30%	ლარი/დოლარი - 30%	ლარი/დოლარი + 30%	ლარი/დოლარი - 30%
მოგება/(ზარალი)	169,786	(169,786)	71,212	(71,212)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის გასაანეიტრალებლად მენეჯმენტი რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია დაფუძნებულია მენეჯმენტის მიერ მომზადებულ ინფორმაციაზე.

ანგარიშგების თარიღისთვის კომპანიის ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულების დაფარვის ვადა არის ერთ წელზე ნაკლები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

19. კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა, ისე რომ კომპანიამ გააგრძელოს მფლობელებისთვის უკუგება, და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

კომპანია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. კომპანია მართავს საკუთარ კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

- ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
- ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

		31 დეკემბერი 2015		31 დეკემბერი 2014	
	ურთიერთობის ტიპი	დაკავშირებულ მხარესთან ნაშთები	ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანი თანხა	დაკავშირებულ მხარესთან ნაშთები	ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანი თანხა
სხვა აქტივები		-	9,925	55,416	64,248
სს „თიბისი“ ბანკი	დამფუძნებელი	-		55,416	
თანხები სხვა საბანკო ანგარიშებზე		25,668	166,358	72,027	185,350
სს „თიბისი“ ბანკი	დამფუძნებელი	25,668		72,027	
საბანკო დეპოზიტები		-	236,068	67,624	67,624
სს „თიბისი“ ბანკი	დამფუძნებელი	-		67,624	
ფული და ფულის ეკვივალენტები		596,312	679,414	255,499	278,003
სს „თიბისი“ ბანკი	დამფუძნებელი	596,312		255,499	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		95,796	169,879	78,549	232,724
სს „თიბისი“ ბანკი	დამფუძნებელი	95,796		74,549	
ოთარ დგებუაძე	დირექტორი	-		4,000	

შპს „თიბისი კაპიტალი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2015 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დირექტორების და მენეჯმენტის სხვა წევრების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2015		2014	
	დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციები	ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანი თანხა	დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციები	ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანი თანხა
უმალესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო	(5,313)	(21,536)	(18,000)	(27,000)
- მოკლევადიანი გასამრჯელო	(5,313)		(18,000)	

2015 და 2014 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგება მოიცავს კომპანიის დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციებში აღიარებულ თანხებს:

ურთიერთობის ტიპი		2015		2014	
		დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციები	ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანი თანხა	დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციები	ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანი თანხა
საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები		-	(87,964)	(11,962)	(261,407)
სს „თიბისი“ ბანკი	დამფუძნებელი	-		(11,962)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(2,752)	(8,595)	(2,128)	(7,530)
სს „თიბისი“ ბანკი	დამფუძნებელი	(2,752)		(2,128)	
არასაოპერაციო მოგება		-	-	2,149	2,149
სს „თიბისი“ ბანკი	დამფუძნებელი	-		2,149	
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან		13,181	30,192	16,551	16,551
სს „თიბისი“ ბანკი	დამფუძნებელი	13,181		16,551	

21. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2016 წლის თებერვალში სს „თიბისი ბანკმა“ დანიშნა კომპანიაში ორი ახალი დირექტორი: ლევან შანიძე და ავთანდილ გიგინეიშვილი. მიზეზი ის არის, რომ იგეგმება კომპანიის ბიზნეს საქმიანობის გაფართოება.